# სამშობლო

ნ. I 1915 წ.

პარასკევი 6 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილ [illegible] იხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 5 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 5



ეროვნული ბიბლიოთეკა


„სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მიჩნევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—8 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“ თფილისის ქუჩა, სახლი ბ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები

მონაწილეობა აღიან ცნობილი და ახალგაზრდა მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



უზომო მწუხარებასა შინა მყოფნი ქვრივი ეკატერინე ვასილ მესხის ასული კვიცარიძისა, ირინე გიორგაძის ასული კვიცარიძისა, სიმონ პავლეს ძე კვიცარიძე და ელენე პავლეს ასული მუმლაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრათ გარდაცვალებას: პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორე დაუვიწყარი შვილისა, ხოლო უკანასკნელნი საყვარელი ძმისა ნადვორნი სოვეტნიკის

ექვთიმე პავლეს ძის კვიცარიძისას.

გამოსვენება თავის საკუთარ სახლიდან დანიშნულია სოფ. ოფურჩხეთს, 8 თებერვალს, დილით 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება ოფურჩხეთის წმიდა გიორგის ეკლესიის გალავანში. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს ხუთ საათზე.

3—3



ა. ა. ი. გოკიელის მ-ბის ქუთაისში

ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

აბრეშუმის ჭიის თესლის

ა. ჯრისტოდულიდის ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.

ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.



ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.

ჭიანჭველის ზეთის მიმატებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნაცადი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.

თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.

ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება.

ფოსტის ადრესი: ქ. კალუგა, ტიბეკინოს მამული, დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი. 12—5



ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის

უფლებებით.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.



ქ უ თ ა ი ს ი.

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ

დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ

საქართველოს ისტორია,

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.



ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.



გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხუზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.



უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი. გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ თ.



ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის მენადარიშვილი და ტრუფაექიმები. ნოჰა. დროებით ბათომიდან გადმოვიდნენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით.


## „დამარხვა.“

დაუბეჭდავი ლექსი აკაკისა.

ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა და მისმა დამარხვამ დიდი შთაბეჭდილება იქონია აწ-ნეტარხსენებულ აკაკიზე, ჩამოვიდა ქუთაისში და თავისი გულის-წყრომა მიამბო, მეორე დღეს საწერ მაგიდაზე ვნახე ლექსი სათაურით:

„დ ა მ ა რ ხ ვ ა.“

სიცოცხლეში რა ვიცით?
—მტრობა, გმობა, ყვედრება!
მაგრამ დამარხვაში კი,—
ვერავინ შეგვედრება:

გვიგონებთ თუ არა,
მოკვდა ,,ეს და ესაო‘‘,
ცოცხლებში ვეღარ ვხედავთ
მასზედ უკეთესსაო!..

ვეპოტინებით ზეცას,
ვაბნელებთ მზე და მთვარეს,
შავ სუდარში ვახვევთ
მთელი საქართველოს მხარეს!..

დეპეშა დეპეშაზე
მოდის გახურვებული!
ხორა-ხორა ეგება
გვირგვინების კრებული!..

გადაქცეული სიტყვით,
ვაქასქასებთ ენასა
და მით ვცდილობთ ჩვენივე
თავის გამოჩენასა!

მაგრამ რომ გავათავებთ,
დავმარხავთ მიცვალებულს,
მივსდგებით ისევ ცოცხლებს
და მით ვიოხებთ ჩვენს გულს.

არ ვზოგავთ მოღვაწეებს,
აბუჩათ აგდებულსა
და თუ მოკვდენ, გავმართავთ,
დამარხვას დიდებულსა.

დიახ!.. ქართველ მოღვაწეს
ყველას თვალში ვამცირებთ:
სიცოცხლეში ვატირებთ!
რომ მოკვდება ვიტირებთ!

აკაკი.

ეს ლექსი დაწერილია 1907 წლის, 21 ენკენისთვეს.

ს. ხახტაძე.

## აკაკის გამოსვენება საჩხერიდან.

3 თებერვალი.

სამს თებერვალს, დილით, აკაკის ცხედრის უკანასკნელ საამბორებლათ გავემგზავრე საჩხერისაკენ.

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როცა მატარებელი სადგურს მიუახლოვდა. ბაქანზე დიდ ძალი ხალხი იყო და სხვა და სხვა ქალაქებიდან მიმსვლელებს მიელოდებოდენ. ყველას მღელვარება ეტყობოდა და ყველაც შეეპყრო იმ ფიქრს, რომ დიდებული გვამი ღირსეულათ გამოესვენებინათ. გზა ტკეცილს, ასუფთავებდნენ, კამარებს სუროთი და შქერით რთავდენ, ორატორებისათვის სკამებს შავით მოსავდენ. ხეებზე სამგლოვიარო ბაირაღები ფრიალობენ. „ბაზარს“ ფარდაგ-ხა ლიჩებითა და მწვანეფოთლებით ალამაზებდენ.

გავსცილდით „ბაზარს“ გავიარეთ ორ ვერსზე მეტი და შევედით სოფელ სხვიტორში. აქიდან მშვენივრად მოსჩანდა ვერხოვანის სერი, რომლის მარცხენა კიდეს აქაფებული ჩიხურას მდინარე შეკვნეს-შესტიროდა და მარჯვენა მხარისკენ კი გონჯარას ღელე ცოცხალ ქსელით თავს ევლებოდა.

აი ამ სერის ძირში არის ამართული ჩვენი მგოსნის ქვიტკირის ორ სართულიანი სახლი, რომელიც აღმოსავლეთისკენ გაიყურება.

მივუახლოვდით ამ სახლს, ავიარეთ აღმართი, გვერდით გაუარეთ სხვიტორის ეკლესიას და მივედით აკაკის საყვარელ უსწორ-მასწორო ეზოში. აქ თქვენს ყურადღებას იპყრობს ტყემლის ხე და მის ძირში ორი შავათ შემოსილი ბოძი, ერთი მეორეზე სამი ალაბით დაცილებული. ეს ის ალაგი არის, სადაც სურდა აკაკის დამარხვა.

„თქვენს არსებას იპყრობს აგრეთვე შავათ დაძაძული ქვიტკირის კიბე და მის წინ შავი ბაირაღები. თქვენც მიეშურებით იქით. ადიხართ კიბეზე, გაივლით პატარა დერეფანს (კორიდორ) და შედიხართ „ზალაში“, სადაც დასვენებულია დიდებულ მგოსნის ცხედარი.

ჩვენც მოწიწებით ვეამბორეთ მის ღვთაებრივ სახეს, პანაშვიდიც მოვისმინეთ.

4 თებერვალი.

დილა ადრიან გავეშურე ძვირფასი ნეშტისაკენ. ყოველი მხრიდან ხალხი გროვათ მოდიოდა და სევდით მოცული, დაღვრემილი სახით მგოსნის ცხედრისკენ მისწრაფოდა. სურდათ ერთხელ კიდევ მოეკრათ თვალი აკაკის სახისათვის და მის სპეტაკ ჭაღარაზე ცხარე ცრემლები დაეფრქვიათ.

აი, ეზოსკენ მიმავალ აღმართ გზას შეუდგა ძაძით მოსილი, წელში მოხრილი, მოხუცი ქალი. გულსაკლავათ მოსთქვამდა და სიბერისგან გაყვითლებულს თმას იწეწდა. ეს გახლდათ აკაკის ძიძის შვილი მოხუცი გაიანე. მასაც სურდა აკაკის დახუჭული თვალები და მის დამჭკნარ ხელებისათვის ეამბორნა.

გონჯურას ხევიდან დაგლეჯილი ჩოხით, ნახევრათ ფეხშიშველი, ტყის ყვავილებით ხელში, მოდიოდა საბრალო მუშა. მის სიცივისგან და მეტ შრომისგან დამსკდარს ხელებს უთენია დაეკრიფა ტყე-ღრეებში ნაირ-ნაირი უცხო ყვავილები და ესეც გულ ამომჯდარი თავის მფარველისკენ მიილტვოდა უკანასკნელი ამბორის მისაძღვნელათ.

პატარა მწყემსები გზაზე ბზის ტოტებს აფენდენ, მათ სურდათ დაემშვენებიათ ცხედრის გამოსავლელი გზა. სოფლის ბავშებს აუარებელი ია და სხვა ყვავილები დაეკრიფათ და დაღვრემილი სახით მგოსნის ეზოში ცხედრის გამოსვენებას უცდიდენ. მათ შეუერთდენ ჩვენი ახალ-გაზდა მგოსნები, პრესის და სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები, და უთვალავი გლეხობა.

ცხედრის გამოსვენების მოლოდინში გულმა აღარ მომითმინა და კიდევ მინდოდა გადამეკრა თვალი იმ პატარა ოთახისთვის, სადაც პირველათ გაახილა თვალები მგოსანმა და სადაც სამუდამოთ დაეხუჭა ეს გრძნობით აღსავსე თვალები. მსურდა დიდ ხანს, დიდ ხანს მეცქირა იმ სტოლისთვის, რომელზედაც უყვარდა წერა ჩვენს დიდებულს აკაკის. მსურდა მეცქირა იმ სარეცელისთვის,

რომელზედაც ავათმყოფი მგოსანი იწვა და განუტევა სული. მსურდა გულშიდ ჩამეკრა ის ბალიშები, რომლებიც თავს ქვეშ ედვა ავათმყოფს აკიკის. მსურდა მივალერსებოდი სარეცელის თავით, აკაკისგან აყუდებულს ხელში დასაკავებელს ჯოხს და ცხარე ცრემლები მეფრქვია მგოსნის წმიდა ოთახში. და მეც იქითკენ გავეშურე.

ავიარე დათალხული კიბე, გავიარე დარბაზში, სადაც მგოსნის ცხედარი ასვენია, გაველი აივანზე და იქიდან შევედი ჩვენს საკურთხეველში — მგოსნის საყვარელ ოთახში.

სანამ ოთახში შევიდოდი ჩემი ყურადღება მიიპყრო აივანზე თეთრ ქვაზე ამოჭრილმა წარწერამ:

„რა პატრონმა გებად მიწყო, სხვანი დრტვინვენ სრულყოფასა
ოდეს სრულ მყო უცოდველათ მოდათ მომცა იმერლებსა.
საქმე პირველ საძნელოა, თორემ მერმე ვინ ვერ ქმნისა.
ტვირთად მისდა ვინ ამილო აწ ილხენდეს შინა ჩემსა
ოსტატ ყოფილ ბერძენთაგან სულ მყვეს ალსაგებლათ თებერვლის თვეში
მათ მწოდებლის ხელმძღვანელობით სრულმყვეს ამავეს ჩჟლდ ივლისის თვეშიდ

**Р. Ц. 1834.**

ეს ლექსი აკრასტიხია და გამოსთქვამ „როსტომს“-ს. ეს აკაკის არ ეკუთვნის, რადგან იმ დროს მგოსანი დაბადებულიც არ იყო.

ამ აივნიდან ძლიერ უყვარდა ჩვენს მგოსანს მზისა და მთვარის ალერსი. ხშირად გამოიყვანდა ხოლმე აივანზე ღამღამობით შინაურებს და მათთან ერთად ტკბებოდა და ელერსებოდა მოკაშკაშე მთვარეს.

აივნიდან თქვენ შედიხართ ჩვენს სათაყვანებელს ოთახში, რომელსაც ორი ფანჯარა აქვს და ორივე აღმოსავლეთისკენ გაიყურება. ამ ფანჯრებს შუა, კედელზე ჰკიდია პატარა რგვალი სარკე და სდგას მგოსნის საწერი სტოლი. ამ სტოლზე აწყვია ფურცლები ჯერ კიდევ დაუთავებელ და დაუბეჭდელ „ზეპირ სიტყვიერები პოეზისა“, აქვეა ჟურნალები, სამელნე ლირით, შავი კალმის ტარი ორი მოწაფე ბავშის სურათი ზედწარწერით: „ძია აკაკის, პატარა მეგობრებისაგან“.

სტოლს სამი უჯრა აქვს და შიგ ბლომათ არის ქაღალდები რუსულ-ქართულათ ნაწერი, სტოლს იქით დასავლეთისკენ სდგას სარეცელი და იქვე კედელში თახჩასავით გაკეთებულს ადგილას, ასვენია ძველი ღვთისმშობლის ხატი და „ქრისტე გოთსიმანიის ბაღში“. ხატის წინ დაკიდებული ერთი დიდი წმინდა სანთელი და შანდალია. ამ ბინაზე, მგოსანი, ყოველთვის უქმე დღეებში ანთებდა ხოლმე სანთელს ამ ხატების წინ.

დასავლეთის მხრით ოთახს აქვს ბუხარი და მის ორივე მხარეს თახჩები. ბუხარზე მიყუდებულია მგოსნის ჯოხი. ბუხარსა და სარეცელს შუა სდგას სკამი, რომელზედაც სდგას ბრინჯაოს შანდალი. შანდალში ნამწვავი კარტოფილის სანთელი.

ჩრდილოეთით კედელზე ჰკიდია „საქართველოს სამოთხე“ და მის ქვეშ უბრალო ხის სტოლი თეთრ ტილო გადაფარებული. ამ მხრით ოთახს აქვს გასასვლელი კარები სხვა ოთახებისკენ. ამ კარებს იქით სდგას წიგნების ძველი, ქართულ-რუსულ წიგნებით სავსე, „ეტაჟერკა“, აი, მთელი ოჯახის მოწყობილება.

თვალები ცრემლებით გევსება და საშინელს გულის ტკივილს გრძნობ, როდესაც ხედავ ამ ოთახის პატრონს გულხელს დაკრეფილს.

შესრულდა ათი საათი და ცხედარიც მისმა გვარეულობის წარმომადგენლებმა დარბაზიდან ეზოში გამოასვენეს, აქ წესი აუგეს და სიტყვა უთხრა გვარის ერთმა წარმომადგენელთაგანმა. ამის შემდეგ პროცესია გაემართა სადგურ საჩხერისკენ.

**გ. ნაორაძე.**

# სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

ქუთაისის ქართული გიმნაზია გულმდუღარეთ სტირის და გლოვობს აკაკის ამიერ სოფლით განსვლას, დიდებული ადამიანის ხორცით გაუჩინარებას, გარდაცვალებას.

უკვდავების შარავანდით მოსილი მისის ციური პოეზიის ჰარმონია ქართველი ერის ცხოვრებაში მარად ბანი იქნება „ხან ლხინის, ხან მწუხარების“.

გიმნაზიის მართველი **ი. ოცხელი.**

---

**პეტროგრადი.** ვსტირი და ვგლოვობ ჩვენის სახელოვან და დიდებულ მგოსნის აკაკის გარდაცვალებას.

მისი უკვდავი ჰანგები და აზრები ქართველ ქალების გამოფხიზლების შესახებ დაუვიწყარი იქნება ჩვენ შორის.

ამასთანავე ე. პ— ხელით გახლებთ სამ მანეთს აკაკის ფონდის გასაძლიერებლათ.

პეტროგრადის სამუსიკო ინსტიტუტის მსმენელი ქალი ვერა ხოჯევანიშვილი. *)

*) ფული მივიღეთ და გადაეცემა დანიშნულებისამებრ. **რედ.**

---

**ს. ტვიში** (ლეჩხუმის მაზრა). ჩვენს მივიწყებულ კუთხეშიც მოაღწია ქართველი ერის სასიქადულო მგოსნის დაკარგვის ამბავმა.

ცხარეთ ვსტირით და ვგლოვობთ დიდებულ მუშაკს. უერთდება ჩვენი გლოვის ზარი, მთელ ქართველების მწუხარებას.

მოკვდა აკაკი და მისი სიკვდილით დაობლდა ქართველი ერი. მაგრამ ის ერი, რომელიც შობს აკაკისებურ ტალანტს არ მოკვდება და ერთგულათ შეასრულებს მის ნაანდერძებს.

საუკუნოთ იყოს ხსენება დიდებულო მასწავლებელო, აკაკი!

სოფლელების მონდობილობით ჭოჭიკო ჭეიშვილი.

---

მოგვიკვდა ძვირფასი მასწავლებელი, უდიდესი პიროვნება საქართველოს ღირსეული შვილი აკაკი. გული მოგვიკლა და ცხარე ცრემლები გვაფრქვევია მისმა გარდაცვალებამ. აკაკის ღვთიურმა შემოქმედებამ ხელი შეგვიწყო ჩვენ დანიშნულების ასრულებაში. ძვირფას აკაკის ნანათი გვყავს გამოზრდილი ჩვენი შვილები; მისი წყალობით უნერგავდით ჩვენს შვილებს მამულის სიყვარულს და მის მსახურებას.

დავსტირით შენს ძვირფას ცხედარს და გვწამს რომ შენი სახელი იცოცხლებს მანამდის, სანამდის ქართველი ერი ცოცხალი არის.

**ჭომის მანდილოსნები.**

---

საქართველოს ბრწყინვალე ვარსკვლავი მოსწყდა; სამშობლოს მნათობი მზე ჩაესვენა და აღარ ანათებს.

აღარ არის ის დიდებული მგოსანი, რომელიც დაუღალავათ მოღვაწეობდა თავისი ერის საკეთილდღეოთ.

აკაკის გარდაცვალება ქართველ ხალხისთვის ძლიერ დიდი დანაკლისია. მაგრამ აკაკის სახელი მუდამ უკვდავი დარჩება ჩვენს გულში, რომელნიც მისი ნაწარმოებით ლვიზარდენით. საუკუნო იყოს ხსენება დიდებულო და ერის სიამაყევ, აკაკი!

**გ. ესაიაშვილი.**

---

## ღრმათ მწუხარეა ლეჩხუმიც.

არ არის მკვდარი ვინც მოკვდა
და ხალხს შესწირა დღენია.

დასწყდა სიმები წკრიალა ჩანგს. საუკუნოთ დაუდუმდა მახვილი ენა ეროვნულ ლიტერატურის გამაცისკროვნებელს, სხივოსან ნიჭით დაჯილდოვებულ აკაკის.

რამდენიმე დღის წინათ ქირნახულმა საქართველომ დაკარგა მე-60 წლების ბრწყინვალე ჯგუფის წარმომადგენელი. ეს ამბავი უცნაური სისწრაფით მოედო ღვთის ანაბარა დაგდებულს მაგრამ ბუნებით მდიდარ ლეჩხუმს, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ ფიანდაზათ ეგებოდა ღირსეულ შვილს.

დღეს, როცა მთელი სამყარო ირყევა, შეს ძლებელ ბრწყინვალე მომავლის მოლოდინე საუკუნოთ განუტევა სული. შავი ძ ძით შეიმოსა საქართველო; ღრმათ მწუხარეა ლეჩხუმიც: სტირის ბავში მომაკვდავ-მოალერსე მასწავლებელს, გლოვს გაძარცვულ-გაპარტახებული გლეხი თავის დამცველს ქირისუფალს და უზომოთ სწუხს მთელი საზოგადოება იმ კაცის დაკარგვას, რომელსაც სამშობლოსადმი სამსახური სათაყვანო საქმეთ გაეხადა, რომელიც დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა ერთგულ დარაჯათ უდგა ეროვნების საქმეს და წმიდა სანთელივით დაწვა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

**შექია.**

---

ჩვენამდინაც მოაღწია საქართველოს თავზარდამცემმა ამბავმა: დაგვკარგვია ჩვენი სიამაყე, საქართველოს შვილი და ქართველი ერის მწყემსი აკაკი. დიდათ ვწუხვართ და ვგლოვთ სახელოვან მგოსნის დაკარგვას, მაგრამ მტკიცეთ გვწამს, რომ აკაკი ჩვენ გაგვშორდა მხოლოდ ხორციელათ, სულიერათ ის მუდამ ჩვენთან იქნება და მისი ხსოვნაც არ ამოიშლება ერის გულში. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, დიდო აკაკი!

სუჯუნის სოფლის ორკლასიან სასწავლებლის მოსწავლენი მეიქვსე განყოფილებისა: ნოდია იოაკიმე, ცხვიტარია ივანე და ანდრია ხოშტარია.

## ჩვენი ამონაკვნესი.

საშინელებამ გადაიფარა შავი ძაძა ჩვენს სამშობლოს. ულმობელმა სიკვდილმა გამოგვაცალა ხელიდან ჩვენი ალ ზრდილი, ჩვენი სამშობლოს ინტერესების მედგარი დამცველი აკაკი...

შენი სახელი, დიდებულო ადამიანო, იქნება აღმოუფხვრელი ჩვენს ხსოვნაში; შენ იცოცხლებ ჩვენში მანამდე, სანამ ცას ქვეშ იარსებებს ერთი ქართველი მაინც... ღრმად შეწუხებულნი სამშობლოს უპირველესი შვილის დაკარგვის გამო ჩვენც, მოწაფეები, დავსტირით დიდებულ ცხედარს.

ღრმად დამწუხრებულნი ქუთაისის მესამე უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფენი.

---

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით ჩვენი უგულითადესი მწუხარება შეუერთოთ სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის ჭირისუფალთა მწუხარებას.

1 თებერვალს მამა ნესტორ სახნიამ ქვედა ბიის მაცხოვრის ეკკლესიაზე აურაცხელი ხალხის თანა დასწრებით გადაიხადა წირვა და პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად.

ხალხის მონდობილობით **სოლომონ თოსავა.**

---

ქუთაისის მესამე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელნი ვგლოვობთ ქართველი ერის დიდებული მგოსნის აკაკის გარდაცვალებას და მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ განსვენებულის ნეშთის წინაშე.

შედეგოგიური საბჭოს მონდობილობით

ვლ. ნ—ლი.

---

საქართველოს მზე ჩავიდა. მოწყდა მანათობი ვარსკვლავი, დადუმდა ბაგენი შეწყდა სიმთა ჟღერა. დაავეკარგა საქართველოს დიდება და ქურუმი ქართულის პოეზიისა. ქართველმა ერმა და ქართულმა ლიტერატურამ დაკარგა თვისი მშვენება. აღარა გვყავს ჩვენი სიამაყე აკაკი. მოგვშორდა იგი ჩვენ ხორციელათ, მაგრამ სული კი მისი მუდამ განუშორებლათ იქნება მის ტანჯულ ერის სულთან.

ვუერთებთ ჩვენს ღრმა მწუხარებას მთელი ქართველის ერის გოდებას და მუხლს ვიდრეკთ მის ცხედრის წინაშე.

ბოკუჩავების გვარის მინდობილობით.

**კოწია ბოკუჩავა.**

---

უსაზღვრო სევდით მოცულნი დავსტირით დიდებულ აკაკის გაციებულ ცხედარს.

აღარ გვყავს ჩვენი სულიერი მეფე, აღარ არის ჩვენი სასიქადულო მასწავლებელი, რომელიც სამოცი წლის განმავლობაში შუქურ-ვარსკვლავივით უნათებდა საწინსვლელო გზას ჩვენს მშობელ მხარეს...

აკაკი გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი არასოდეს არ მოკვდება! ის ხომ თვით საქართველოს ხორცშესხმული სულია და სანამ საქართველო იარსებებს, მისი სახელიც უკვდავი იქნება.

ვგლოვობთ მთელ ქართველობასთან ერთად ჩვენი სამშობლოს შეუდარებელ დანაკლისს, მუხლს ვიდრეკთ მის წმინდა ცხედრის წინაშე და ფიცს ვდებთ, რომ სულით და გულით შევეცდებით განვახორციელოთ მისი ბრწყინვალე იდეალები.

**ფოთის გიმნაზიელები.**

---

სწორუპოვარ ბაგეთა დადუმებით აცრემლებული სამშობლოს, ვუერთებ მეც ჩემ მხურვალე ცრემლებს, ხოლო არ შემიძლია შევკადრო უკვდავი სულის მატარებელ არსებას ის, რომ „მოკვდაო“. განა შეიძლება თქვათ „მოკვდაო“ იმ ბუმბერაზზე, რომლის ნამოღვაწარი ერს საარსებო განძათ რჩება და სამაყო ძეგლათ! აკაკის სული სიკვდილისაგან ხელუხლებელია, ბატონებო, რომელსაც თვისი მადლიერი მხცოვანი სამშობლო — საქართველო განუყრელათ ესხეულება.

ტყვილად კი არ ამბობდა დიდებული მგოსანი „სიცოცხლე არის გონება, სიკვდილი განსვენებაო“. და აჰა, განისვენა კიდეც ხორცით მან, რომელმაც სული გააუკვდავა სამშობლოს დაუცხრომელ მასწავლებლათ. ჭეშმარიტად უბედურია ის ერი, რომელიც ასეთ დიდებულ შვილს ვერ წარმოშობს; ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი უკვდავი შვილი ორმოცდათუთხმეტი წელი სამოღვაწეო ასპარეზს უმკობდა და უმდიდრებდა. და ბედნიერი ხარ შენც, რჩეულთა სავანევ მამადავითის მთავ, რომ შენი მკერდი ეკვანება საქართველოს ეროვნულ გვირგვინს უკუნითი-უკუნისამდე.

**დაჯანელი ბანოვანი.**

---

როკითის სკოლის მასწავლებლები და მოსწავლენი ღრმათ დაღონებული დიდებული მგოსნის და საყვარელი მამულიშვილის, აკაკის, გარდაცვალებით, გლოვს და უერთებს თავის განუსაზღვრელ მწუხარებას ქართველ ხალხს.

როკითის სკოლის გამგე ანდრო ფურცელაძე და მასწავლებელი ქალი ვერა ჯიშკარიანი.

---

აღარ აყვავებს ქართულ ლიტერატურას მცხოვანი მგოსნის ნაწარმოები, მაგრამ უკვდავი იქნება მარად ქართულ ლიტერატურაში.

ვუერთდებით მთელი სამშობლოის მწუხარებას და თვალ ცრემლიანი მუხლს ვიდრეკთ მისი ცხედრის წინაშე.

თამარ აბდუშელიშვილისა და ვერა კოსტავა.

# დიდი მგოსნის აკაკის გამოსვენება საჩხერიდან.

(აკაკის სახლიდან საჩხერის სადგურამდე).

სამშაბათს, 3 თებერვალს, დამის მატარებლით ქუთაისიდან გავემგზავრეთ საჩხერეს ძვირფასი მგოსნის ნეშტის გამოსვენებაზე დასასწრებლათ. მატარებელში ტევა არ იყო.

შორაპნის სადგურზე ჩვენ მოუცადეთ თფილისიდან მომავალ ხალხს. ნაშუადღევის 4 ს. მოვიდა თფილისის მატარებელი, რომელსაც მოყვა დიდძალი ხალხი.

დილის $5^1/_2$ საათზე გავემგზავრეთ საჩხერიდან. საჩხერის სადგურზე ვიყავით $1^1/_2$ საათზე.

აკაკის სახლისკენ მრავალი ხალხი გაემგზავრა. დღე იყო შესანიშნავი თითქო ბუნებაც უკანასკნელათ ესალმებოდა დიდებულ მგოსანს.

10 საათზე უკვე აკაკის სახლს მიუახლოვდით მაგრამ, რა სანახაობა იყო! აუარებელი ხალხი, აკაკის ეზოს ფერდობზე და ძირს გზაში ჩამდგარი, ღობეებზე გადმომდგარი ელოდა მგოსნის გვამის გამოსვენებას. აი, პირველი სიტყვა წარმოსთქვა თ გ. დავით წერეთელმა და პროცესიაც დაიძრა. მშვენიერის წესრიგით, ნელა და მოწიწებით მისდევდა ხალხი კუბოს, მხოლოდ ძვირფასი ცხედრის ნახვის სურვილი იტაცებდა ხშირათ ხალხს, თავს ვერ იკავებდენ და წინისკენ იწევდენ, მაგრამ ერთი უბრალო შენიშვნა საკმარისი იყო, რომ წესრიგში ჩამდგარიყვენ.

გზადაგზა აუარებელი ხალხი გვემატებოდა. გზის ბოლოში რომ ჩამოვედით, მშვენიერი ლექსი წაუკითხა ძვირფას აკაკის მგოსანმა აბაშელმა. ცოტა სიარულს შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გლეხმა დომენტი ტაბატაძემ. ასე, თითქმის შუა გზაზე! ჰოეტის გვამს წინ მოეგებენ სოფ. სავანის მცხოვრებნი. წამოსულიყო მთელი სოფელი დიდი და პატარა, ქალი და კაცი. აქ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მ. აბაშიძის ასულმა, შემდეგ ილაპარაკა ებრაელმა კოჭუნაშვილმა და ერთმა პატარა მოწაფემ.

მიცვალებულის გვამი გაასვენეს აკაკის სახელობის საჩხერის სამკითხველოსთან, სადაც სიტყვები წარმოსთქვა დ. ქებაძემ და ფარქოსაძემ, ბაზრის ბოლოში გრძნობიერი სიტყვა სთქვა სომხის წარმომადგენელმა ალიბეგოვმა — უკანასკნელი სიტყვები იყო საჩხერის სადგურთან, სადაც ილაპარაკეს ქუთაისის ქალაქის თავმა თ. ჩიქოვანმა მღვ. გრ. გიორგაძემ, მღვ. იოსებ ბარათაშვილმა. ი. შოთაძემ, ი. იმედაშვილმა და ბლ. იოს. წერეთელმა. ამის შემდეგ დიდებულ აკაკის გვამი შეასვენეს საგანგებო მატარებლის დიდებულათ მორთულ ვაგონში, რომელიც მოურთავს ბ. ჰ. იაშვილს.

# დიდებულ აკაკის ბრწყინვალე ხსოვნას.

„დიდებულ[illegible] ბრწყინვალე[illegible]
შემდეგა[illegible]“

რუსეთის ერთ ჟურნალისტს უთქვამს: „საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთ ხანგრძლივსა და რთულს დრამას, რომელსაც ასი შექსპირიც ვერ ამოწურავსო.“ ამ სიტყვებში ისტორიული ჭეშმარიტებაა გამოსახული: ქართველი ერის თავზე მრავალ საუკუნოების მრისხანე ქარტეხილმა გადაიარა და მისი მყუდრო, ეროვნული ცხოვრება შეარყია... საუკუნოებით მოზღვავებული მტრები დაუნდობლათ კაწრავდენ ქართველი ხალხის სულსა და გულს და ცდილობდენ მის დედამიწის ზურგიდან სრულიათ მოსპობას... მაგრამ რაინდი ქართველი „მრავალ ჟამიერის“ სიმღერით, შეუდრეკელი სიმტკიცით მიისწრაფოდა ბრწყინვალე მომავალ ცხოვრებისაკენ, ვინაიდან მისი ნება და სურვილი მტკიცე და შეუდრეკელი იყო, ვით სალი კლდე...

ევროპის თანამედროვე სასტიკმა ომმა პაწია საქართველოც გახვია ცეცხლის ალში.

ბედმა ესეც არ გვაკმარა და ჩვენი ცხოვრების კაბადონს მწუხარების შავი მანტია გადააფარა... შავმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა ერთი ჩვენი მანათობელი ვარსკვლავთაგანი... დავკარგეთ ჩვენი პოეზიის უდიდესი ქურუმი აკაკი... დავკარგეთ ის, რომელმაც ბეჩავ ერის სამსხვერპლოზე ჩაუქრობელი ლამპარი აანთო ეროვნულ თვითშემეცნების... დავკარგეთ ის, რომლის გამჭრიახი ჭკუა-გონება ჩასწვდა ერის სულის სიღრმეს და იქ დაგუბებული ლტოლვა და მისწრაფებანი თავის საბრძოლველ საგნათ გაიხადა... დავკარგეთ ის, რომელმაც ქართველ მშრომელ მასის გათვითცნობიერებაში შეუდარებელი როლი ითამაშა...

მიწის გაციებულ კალთებს უნდა ამოეფაროს ის, რომელმაც მთელი კულტურული ეპოქა შექმნა ქართველი ერის ცხოვრებაში... სამუდამოთ დადუმდა ის მშვენიერი ენა, რომლის ვარდის ფერ სიტყვებით მოქარგული სურათები თვალს ატყვევებდა და სულსა და გულს ხიბლავდა ნეტარებით, ხოლო მომჯადოებელ სურათებში ჩაქსოვილი გონების „მზიური“ მარგალიტებრ გრძნობასა და აზროვნებას ფრთოსან მისწრაფებით მჰვაოვამა და უკვდავების ცხოველ-მყოფ სხივებით დამთვრალს „მშვენიერ ცხოვრებისაკენ“ მიაცურებდა... მოგვიკვდა ის, რომლის ღვთიური ცეცხლით გაღვივებული პოეზია მტკიცე და შეუდრეკელი მოწოდება იყო საქაჯეთში ტყვეთ მყოფ ლეჩაქ ახდილ ნესტან-დარეჯანის დასახსნელათ... სიკვდილის ცივი ლუმელი გადაეფარა იმის ბაგეებს, რომლის ღვთიური სიტყვა მზის ცხოველმყოფ სხივებივით ეფინებოდა ქართველ ხალხში და ჩაუქრობელ იმედის სხივს ანთებდა მათ გულში.

„არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს,“ ეს ცრემლის ძირში შობილი მუსიკალური აკორდია, რომელიც ასე ატკბობს და ახალისებს ქართველ ხალხს და სანატრელ მომავლის იმედს ღრმათ უნერგავს გულში...

მაგრამ ნუთუ მართლა მოკვდა ჩვენთვის აკაკი? არა, ის არ მომკვდარა... მოკვდა მხოლოდ სხეული, სული კი, სპეტაკი სული მარად გაამუქებს ჩვენ დაბეჩავებულ ცხოვრებას, ვით ცხოველ-მყოფ მზის ბრწყინვალე სხივები... აკაკიმ თავისი ღვთიური ნიჭის წყალობით გადალახა დროისა და სივრცის საზღვრები, სძლია სიკვდილის შავი აჩრდილი და უკვდავ პიროვნებათ გადაიქცა... მისი სიცოცხლით სავსე პოეზია მარადის გაგვამხნევებს და დაგვატკბობს; მისი ღვთიური სიტყვა კვლავ აანთებს იმედის სხივებს ჩვენ გულში და კვლავ ლაღი სიხალისით წაგვიყვანს ახალ ცხოვრებისაკენ...

მე დარწმუნებული ვარ ამ საერთო უბედურების დროსაც არ უღალატებს ქართველი ხალხი შოთას პირით გამოთქმულ ჩვეულებას: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“...

ჩვენი ვალია ღრმათ შევიგნოთ მგოსნის აზრები და მისწრაფებები, დავიჩოქოთ მის ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამის წინაშე და მივცეთ ფიცი, ფიცი სასტიკი და შეურყეველი, რომ მის მიერ გადმოცემულ ბრწყინვალე ანდერძს, — შეუდრეკელათ ვემსახურებით...

მაშ, განისვენე ტკბილათ, დიდებულო მოძღვარო...

სტ. სიმონ ხუნდაძე.

28 იანვარი 1915 წ.

# ახალი ამბავი.

რაც დღე გადის, ჩვენ ქალაქში თანდათან ფეხს იკიდებს ათასგვარი გადამდები სენი; ყვავილი, სახადი და სხვა. არც საკვირველია, რადგანაც ყველა მხრიდან მოდიან გამოქცეულნი და ქალაქი კი მეტად მოუწყობელია.

აუცილებლად საჭიროა ქალაქის საბჭომ სამოქალაქო დებულების 108 მუხლის ძალით დაუყონებლივ გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი მცხოვრებთათვის და დაავალოს ქალაქის ექიმებსა და ფერშლებს შეუდგენ ავადმყოფობის მომსპობ ზომების მიღებას, ვინაიდან თუ ავადმყოფობამ ფეხი მოიდგა, დიდი უბედურება დაადგება ჩვენ ქალაქს.

◆ ქალაქის გამგეობამ ქალაქის სასაკლაო სამი წლის ვადით უკვე გასცა. სასაკლაო აიღო ალექსანდრე ჰიჰინაძემ 17 ათას მანეთად.

◆ რადგანაც ქალაქის მეორე ბუთიაქში ამ ჟამათ მუშაობა მოიმატა, აზრათა აქვთ მოიწვიონ ორი თუ არა, ერთი პროვიზორის თანაშემწე მაინც.

◆ თფილისის სამოსამართლო პალატა უკვე ჩამოვიდა და 5 თებერვლიდან საოლქო სასამართლოს დარბაზში საქმეებს გარჩევას შეუდგა.

◆ ქალაქის გამგეობამ კავკავიდან, იქაურ პურის საწყობის კანტორისაგან დეპეშა მიიღო, რომ მათ შეუძლიათ ქალაქს მისცენ 300,000 ფუთი სიმინდი ხელსაყრელ ფასებში.

◆ **მკვლელობა.** 4 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, ორპირის ქუჩაზე კონსტანტინე მომაგეიშვილის დუქანში შეგდა იქვე მცხოვრები ბაგრატ ზვიადაძე. შეჰყვა პოლიციელი იოსებ ბაქრაძე როცა ზვიადაძემ ბაქრაძე დაინახა ხუმრობით სთქვა—„აი აგერ ჩვენი გოროდოვოიც". ბაქრაძემ თოფი ჩამოიღო და შეუსმინებლათ დაუმიზნა. ტყვია უცაბედათ გავარდა, ზვიადაძეს მოხვდა, რომელიც იქვე უგრძნობლათ დაეცა.

◆ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა ოქმი შეუდგინა მეფქვილე კაკი ტალიაშვილს ფქვილის მეტ ფასში გაყიდვისათვის, და ებრაელ პაპიაშვილს ქატოს მეტ ფასში გაყიდვისათვის.

◆ საფირჩხიის ამაღლების ორკლასიან შკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა თაოსნობით, კვირას, 1 თებერვალს, დეკ. ი. აბესაძემ გადაიხადა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ დღეს, 6 იანვარს, ოლქის სასამართლო გაარჩევს ვლადიმერ ყრუაშვილის საქმეს, რომელსაც ბრალდება სხვადასხვა ბოროტების ჩადენა. მას ბრალდება აგრეთვე 1914 წლის ზაფხულში, სოფ. ალვში (ლეჩხუმის მაზრა), თავის ბიძაშვილის ალექსანდრე ყრუაშვილის მოკვლა. ბრალდებული ისჯება 1630 და 1632 სისხლის სამართლის მუხლის ძალით.

## დაბა-სოფლები.

**წყალტუბო.** კვირას, 1 თებერვალს, წყალტუბოს წმინდა გიორგის ეკლესიაზე შეიკრიბა წყალტუბოს საზოგადოება და ჩვენი მოხუც მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდზე შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა ბლაღოჩინმა მღვდელმა იუსტინე ფანცხავამ. მან სავსებით დაუსურათა მთელ საზოგადოებას, მგოსნის ბიოგრაფია და მისი დაუღალავი ღვაწლი საქართველოსადმი; შემდეგ წარმოსთქვა გალიკო იოსელიანმა; და ბოლოს კი ლექსათ მიმართა მოხუც მგოსნის ხსოვნის ოტია იოსელიანმა. პანაშვიდის შემდეგ მთელ საზოგადოების დაგალებით არჩეულ იქნა ორი კაცი, რომლებიც მგოსნის დაკრძალვას დაესწრებიან თფილისში.

**სოფ. ცაიში** (ზუგდიდის მაზრა). 25 იანვარს ქ. ვ. მეუნარგიას თაოსნობით, ომში დაჭრილთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნა ორ მოქმედებიანი კომედია „მოტყუებულნი"... ბოლოს წაიკითხეს სხვადასხვა ლექსი. წარმოდგენამ და ლექსებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

წარმოდგენასა და ლექსების კითხვაში მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივი მასწავლებლები. წარმოდგენამ ჩვეულებრივ ჩაიარა მიუხედავათ იმისა, რომ მოთამაშენი პირველათ გამოდიოდენ სცენაზე. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

მადლობის ღირსია ქ. მეუნარგიასი ასეთი სიმპატიური მიზნის განსახორციელებლათ წარმოდგენის გამართვისათვის.

ვუსურვებთ მათ დიდს ენერგიას ასეთ საქველმოქმედო საქმეში. იმედია, კვლავაც არ მოგვაკლებენ თავის შრომას მოთამაშენი და მით ხელს შეუწყობენ ხალხის გათვითცნობიერების საქმეს.

კ. იმერელი.

**ს. ლონირი** (ქუთაისის მაზრა). კვირას, ამ თვის 1, ნაშუადღევის პირველ საათზე, დანირ-ქვიტირის სამკითხველოისა და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობათა მეთაურობით ადგილობრივ ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი დიდებული მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ.

პანაშვიდს დაესწრო ათასამდე ქალი და კაცი სხვადასხვა სოფლებიდან მოსული.

პანაშვიდის დაწყებისას მღვდელმა დომენტი ჩხაიძემ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა.

პანაშვიდზე გალობდა ადგილობრივი სამინისტრო სკოლის მოსწავლეთა გუნდი.

მ. ბოლქვაძე.

## †კატო ანთაძე.

18 იანვარს, სოფ. ყელაში მიწას მიაბარეს 18 წლის ქალი კატო ანთაძე. განსვენებული თავის ნაცნობებში ცნობილი იყო, როგორც მამულის მოყვარე, გულწრფელი, კეთილბუნებიანი და დაჩაგრულთა შემბრალე ადამიანი. სამშობლო ლიტერატურის სიყვარული ბავშობიდანვე ემჩნეოდა. მის წიგნებთა შორის შენახულია მისი ხელნაწერი რვეულები, რომლებიც სავსეა სხვადასხვა ქართული ნაწარმოების მოკლე შინაარსებით, გმირთა დახასიათებით და აგრეთვე საკუთარ ლექსებითა და ესკიზებით. ეს ლექსები და ესკიზები განსვენებულს უწერია ჰიათურის ქალთა სასწავლებელში, სადაც ამავე დროს საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. მისი ნაწერები თუმცა სუსტობენ ფორმის მხრივ მაგრამ ატარებენ ბეჭედს გულწრფელობისა და ღრმა დაკვირვებისას. ზედვე ემჩნევოდათ, რომ მის ავტორს მომავალში შეეძლებოდა თავისუფლად წერა და აზროვნება.

ჰიათურის სასწავლებლის დასრულების შემდეგ იგი გადავიდა ქუთაისის კერძო ქალთა სასწავლებელში, სადაც დიდხანს აღარ დარჩენილა, რადგანაც ავათ გახდა განუკურნავი სენით და ორი წლის ავათმყოფობის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა.

განსვენებული ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, თუმცა ძლიერ სუსტად გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც მუდამ სამშობლო ლიტერატურაზე ფიქრობდა.

1914 წელს ივლისში, აგარაკ ჯუმათში ყოფნის დროს რამდენიმე ახალგაზდამ განიზრახეთ წარმოდგენის გამართვა. როცა ეს კატომ გაიგო, მაშინვე გამოუცხადა მხურვალე თანაგრძნობა და შეჰპირდა შეძლებისდაგვარ დახმარებას, თუმცა თვითონ ძლიერ დასუსტებული იყო და უმეტეს წილად საწოლში იწვა. ამ დროს ერთი ვიღაც სულელი ამოვიდა ჯუმათში. ხალხი დაეხვია მას, დასცინოდენ, აჯავრებდენ, ასულელებდენ და თანვე გულიანად ხარხარობდენ. კატო კი იდგა ცოტა მოშორებით, სიბრალულით შეჰყურებდა სულელს, კიცხავდა ხალხის საქციელს და თან გულნატკენი დალონებული იმეორებდა: „ეჰ, რა საშინელი რამ არის ცხოვრებაო". აი, როგორი, სიბრალული ქონდა მას ადამიანისადმი.

განსვენებულის იდეალი ის იყო, საკმაო სწავლა მიეღო და შემდეგ მის სიცოცხლეს რაიმე ღირებულობა ჰქონებოდა ხალხისათვის, მაგრამ აღარ დასცალდა, ულმობელმა სიკვდილმა უდროოთ დააჭკნო გაუფურჩქნავი ყვავილი.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, კეთილო ადამიანო!

სამსონ ურუშაძე.

### პასუხი გიორგი ტარიელის მე ჯაფარიძეს.

ბატონო გიორგი! ჩვენს შორის არსებულ ანგარიშების გასასწორებლად სრულიად მეტად მიმაჩნია გარეშე პირების შეწუხება და ჩარევა. თუ კი ფულების წაღება შეგეძლოთ უშუამავლოთ, ანგარიშების ჩაბარებაც ამავე წესით შეგიძლიათ. თუ უკეთუ 15 თებერვლამდის ანგარიშს არ გამისწორებთ მე იძულებული ვიქნები აღძრული საქმე ხელახლათ განვაახლო.

ივანე მარკოზის ძე კაპანაძე.

# ომი.

**პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.**

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 4 თებერვალი. „არმ. ვესტნ." მიმოხილვაში სწერია, რომ 3 თებერვალს ნემანსა და ვისლის შუა ფრონტზე სამხედრო მოქმედება დაახლოვებით მხოლოდ იმ რაიონებში ხდებოდა, როგორც წინა დღეს. ვისლის მარცხენა ნაპირზე მდგომარეობა უცვლელია. არტილერიითა და თოფით სროლა ჩვეულებრივათ სწარმოებს. გალიციაში ბრძოლა წინანდებურათ სწარმოებს. ვოლია მიხოვაზე იერიშის მიტანა კვლავ გრძელდება. ბისტრიცის აღმოსავლეთით თხრილების პირველი ხაზი დავიკავეთ და ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში რამდენიმე აფიცერი, 600 ჯარისკაცი, წავართვით მტერს 4 ტყვიისმტყორცნელი. ლუტოვის რაიონში ბრძოლა წარმატებით ფართოვდება. სენის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ჯარმა 3 თებერ. შეტევით დაამარცხა მტერი და ერთი დღის განმავლობაში ტყვეთ წამოიყვანა 12 აფიცერი, 1.000 ჯარისკაცი; ხელში ჩაიგდო 3 ტყვიისმტყორცნელი და ბევრი თოფი და პატრონები. პირველ თებერვალს ამავე რაიონებში იავორჟეცთან ბრძოლით ავიღეთ გორაკი. სმოლნიკსა და იზულუჩიზე იერიშის მიტანას განვაკრძობთ. პირველ თებერვალს აქ ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე აფიცერი, 4 ტყვიისმტყორცნელი და 600-ზე მეტი ჯარისკაცი. მუნკაჩის გზით 31 იანვარს გერმანელებმა რამდენჯერმე იერიში მოიტანეს სიმაღლეზე მოდიოდენ მავთულის ღობეებამდი, მაგრამ დიდი ზარალით უკან ბრუნდებოდა. იუზოვსკის სამხრეთ-დასავლეთით სიმაღლეზე მოტანილი მთელი რიგი იერიშებისა აგრეთვე მოგერებულ იქნა ბრწყინვალეთ ჩვენგან. სიმაღლე როსოხაჩი 1 თებერვალს ჩვენ ავიღეთ. ხუსტკის გზით 3 თებერვალს, ღამით, ჩვენმა ნაწილებმა მცირე ბრძოლის შემდეგ ტუხლის სამხრეთით დაიკავეს სიმაღლე, რომლის დროსაც წამოიღეს ერთი ზარბაზანი, 2 ტყვიისმტყორცნელი და ტყვეთ წამოიყვანეს 60 კაცი. პირველ თებერვლის ღამეს გერმანელებმა მედგარი იერიში მოიტანეს როგორც აქ, ისე ვიშკოვის ფრონტზე, მაგრამ ყველა იერიში ჩვენგან მოგერებულ იქნა და მტერს დიდი ზარალიც მივაყენეთ. ბუკოვინაში ბრძოლა გძელდება გერმანელების დიდ ძალასთან.

**პეტროგრადი.** იმ დროს, როდესაც მტრის მზვერავები ჩვენს პოზიციებს ათვალიერებდენ, ჩვენი ჯარისკაცების პატარა ჯგუფი, რომელიც ფრონტის წინ იდგა, ეკვეთა მათ, სადაც ჯარისკაცმა იაკობ ივანეს ძე ტარასოვმა სხვების თვალწინ მოჰკლა მტრის ერთი მზვერავი და მეორე დაატყვევა. დანარჩენები გაიქცენ. ტარასოვს ებოძა გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი.

**პეტროგრადი.** 3 თებერვალი. გადასწყდა მოწვიონ განსაკუთრებული კრება ვაჭრობა-მრეწველობისა და მეურნეობის წარმომადგენელთა სახელმწიფოს ეკონომიური საკითხების გამოსაკვლევათ.

**რომი.** 2 თებერვალი. იტალიის მთავრობა მეგობრულის კილოთი მიმართა ბერლინის მთავრობას, რომ მეომარ სახელმწიფოების უფლებაა გასინჯონ ნეიტრალურ სახელმწიფოების გემები, ამიტომ ყოველი სამტრო მოქმედება არ შეიძლება იქნას გამართლებული იმ ეჭვით, ვითომ ნეიტრალურ გემის ბაირაღ ქვეშ იმალება მოწინააღმდეგე სახელმწიფოს გემით.

**რომი.** 2 თებერვალი. გუშინდელმა „ჟურნალ დიტალიას" წერილმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია პარლამენტის სხვადასხვა წრეებში. წერილს ყველა თავისებურათ ახასიათებს.

**ლონდონი.** 2 თებერვალი. „ტაიმსი" ამბობს, რომ გერმანიის უდიდესი ცნობა ის არის, რომ მას ომი არ უნდა დაეწყო რაკი მას არა ყავდა არც ერთი დიდებული სახელმწიფო მოღვაწე, და არც ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი. თუმცა მას ეტყობა დიდი სამხედრო მომზადება, დიდი მუშაობა ამ დარგში, მაგრამ მას არ ყავს კაცი, რომ აწონოს სახელმწიფოს ძალი და ღონე. მის საგანთა ურთიერთობა და ასეთ მდგომარეობაში თვით ჰენიოსიც ვერ შესძლებდა გაეხორციელებია გერმანელების საქვეყნო ბატონობის ოცნებანიო.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 3 თებერვალი. ღამის ოფიციალური ცნობა. 3 თებერვლის განმავლობაში ბელგიაში მთელს ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა წარმატებით სწარმოებდა. ფრანგების საჰერო ფლოტილიამ გისტელსთან გერმანელების საავიაციო ბარკს ყუმბარები დაუშინა. ინგლისელების საჰაერო რაზმა ოსტენდეს ყუმბარები ესროლა. იპრის სამხრეთით ინგლისელებმა მტრის რამდენიმე თხრილი ხელში ჩაიგდეს. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში უაზსა და ენს შუა სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა. ვაილისთან ჩვენი არტილერია მარჯვეთ ესროდა მტრის შეჯგუფულ ავტომობილების ტრანსპორტს. ბოსეჟურის ჩრდილოეთით ჩვენ წინ წავიწიეთ და სამი კილომეტრის სივრცეზე გერმანელების თხრილები დავიკავეთ. ამ დროს ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ასი ტყვე, რომელთა შორისაც ხუთი აფიცერია. არგონების სიმაღლეებზე ქვეითა ჯარის ბრძოლა ხდებოდა. ფურდენარსა და ბურეილის დასავლეთით მდებარე მიდამოებში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოთ სწარმოებს. ლეპრეტის ტყეში მტრის რამდენიმე ბლოკგუაზი ხელში ჩავიგდეთ.

**ლონდონი.** 4 თებერვალი. ფელდმარშალ ფრენჩის მოხსენებაში, რომელიც კვირაში ორჯერ გამოქვეყნდება ხოლმე ნათქვამია, რომ წარსული კვირის დასაწყისში ჩვენ, რამდენიმე გამარჯვებას შედიოდა. 29 მეღზაური გადაარჩინეს, ორი უკვალოთ დაიკარგა.

გავასის სააგენტო უარყოფს იმ ჭორს, ვითომც გერმანელებს ფერმასთან ფრანგებისათვის ერთი თხრილი წაერთმიათ პირიქით აქ ფრანგებმა წაართვეს გერმანელებს, ერთი გრანატების სასროლი დასგა, 2 ტყვიის მტყორცნელი და რამდენიმე სამხედრო დავლა.

**ზღვაზე ბრძოლა.**

**გავრი.** 3 თებევალი. გუშინ, საღამოს ექვს საათზე გერმანელების წყალქვეშა ნავმა ლიაგერის ჩრდილო დასავლეთით 20 მილის მანძილზე ჩასძირა ინგლისელების ქვანახშირის საზიდავი გემი „დელვიჩი", რომელიც გულიდან რუანს მიდიოდა. ლაბასეს რაიონში ნაალებათ ვმოქმედობთ. მიუხედავათ ამისა რამდენიმე მანძილზე წინ წავიწიეთ და უზარალოთ დავიკავეთ ფრიად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. ცნობებია, რომ უკანასკნელი ბრძოლის დროს მტერმა დიდი ზარალი ნახა ამ რაიონში. იპრის რაიონში მტერმა ჩვენს ქვეითა ჯარზე იერიში მოიტანა და პირველათ ხელში ჩაიგდო რამდენიმე თხრილი, მაგრამ შემდეგ ჩვენ მედგარი კონტრ-იერიში მივიტანეთ და დათმობილი ტერიტორია ისევ უკან დავიბრუნეთ ამ დროს ხელში ჩავიგდეთ ტყვეთ რამდენიმე კაცი. დანარჩენ ფრონტზე მხოლოდ გაძლიერებული საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ამ სროლაში წარმატება ჩვენს მხარეს იყო. ლაბასესთან ჩვენმა ხუთმა მფრინავმა მტრის ბარაკს ყუმბარები ესროლა. ერთი სასროლ ნივთიერებით დატვირთული ვაგონი აფეთქდა.

**ლონდონი.** 4 თებერვალი. ინგლისის საადმირალო იუწყება, რომ ინგლისის 40 ჰაეროპლანმა და გიდროპლანებმა ოსტენდეს და მიულკერკეში მტრის მძიმე ბატარეიას ყუმბარები ესროლეს. აგრეთვე დაუშინეს ყუმბარები ოსტენდესა და გისტელს შუა მიმავალ საქონლის მატარებელს. ამავე დროს ყუმბარები ესროლეს ზეებრიუგესთან დოკებს და ბლანკენბერგთან ბარჟას. ინგლისის ჰაეროპლანებს ამ დროს ეხმარებოდა ფრანგების 8 ჰაერონავი, რომელთაც მოხერხებულათ მიიტანეს იერიში გერმანელების აეროდრომზე და მით ხელი შეუშალეს მათ ინგლისელების ჰაეროპლანების იერიში მოეგერებიათ. ჰაეროპლანებს საადმირალოსაგან მიცემული აქვთ ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ და თავდასხმას მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობა ექნება. ჰაეროპლანები თავდასხმას განაგრძობენ, რომ დაასრულონ დაწყებული საქმე. ჯერ-ჯერობით მათ თავდასხმას კარგი შედეგები აქვს.

## სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ბ უ ლ გ ა რ ე თ ი.**

**ბუქარესტი.** 3 თებერვალი. „ვიტუროლი" სოფიაში მომხდარ ტერორისტულ აქტის შესახებ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იუწყება. თუმცა გამომძიებამ ჯერ არავითარი შესამჩნევი შედეგი არ მოიტანა, მაგრამ ყოველნაირი საბუთებია ვიფიქროთ, რომ ბოროტმოქმედება ჩადენილია პოლიტიკურის მიზნით და იმის ჩადენის გადაწყვეტილება მოხდა მაშინვე, როგორც კი დასრულდა ბულგარეთის სესხის შეგროვება გერმანიაში. მთავრობამ გამოძიების უმთავრესი ყურადღება მიაქცია მაკედონელთა წრეებისაკენ და გეშოვის ნაციონალისტურ პარტიისაკენ. ბალზე მისაწვევი ბარათები სახელობითი იყო, და შესასვლელში სასტიკად ამოწმებდენ. ჯოჯოხეთის მანქანა ნილაბების გამოჩენის დროს აფეთქდა. დაჭრილია 30 კაცი, მათ შორის 12 მძიმედ. ნაწილი დარბაზის ჭერისა ჩამოინგრა, კედლები სისხლით არის შეთხუპნული. რადგანაც ბოროტმოქმედების შესახებ გაზეთებს წერა აეკრძალათ, ამიტომ მათ მოათავსეს ბალის ანგარიში, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს.

**ს ე რ ბ ი ა.**

**ნიში.** 3 თებერვალი. ალბანელების წინსვლა გავრცელებულია მთელ საზღვრებზე ალბანეთ-სერბიისაზე. სამი დღის წინედ ალბანელები ორიდის ოლქში გამოჩნდენ, სადაც სერბიელები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. ჯაფიშანი გუშინ დაიპყრეს ალბანელებმა. 1 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში რუინის რაიონში ბრძოლები ხდებოდა ნაიაცის პოზიციებთან. როდოჟდის და სხვა მოსაზღვრე ქრისტიანი მცხოვრებნი სტრუგუსაკენ გაიქცნენ. სერბიელებს, 2 თებერვალს 30 მოუკლეს და დაუჭრეს. პრიზრენის ოლქის ხაზზე სერბიელებმა შეუტიეს.

**ნიში.** 3 თებერვალი. ალბანელების თავდასხმა თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. ჯერჯერობით მათ დასავლეთით დაიკავეს ტოპოლიანეცი, გლასნიცა, რამიცა, ჟური და რანმჯე. პრიზრენეურსა და პრიზრენ რანიმს შუა ტელეგრაფი შეწყდა. ალბანელები წინ მიიწევენ გურისა და დერენტესკენ. ამ გზით მათ დაიკავეს კრეტაცი და კაიჩი. სერბიელებმა უკან დახევის დროს დაჰკარგეს 100 კაცი, მათ რიცხვში ორი აფიცერია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ინგლისი.**

როგორც გაზეთ „დ. ხრ."-ის კორესპონდენტი იტყობინება, გერმანელები იზერთან ბრძოლის დროს დიდრონ ფარებს ხმარობდენ. თითო ფარი ოთხ ჯარისკაცს იფარავს. ორ ჯარისკაცს მიაქვს ეს ფარი, მესამე ფარის ჩიჩვრიტანიდან ისვრის თოფს, მეოთხე უკანიდან მოსდევს და სახელდახელო ყუმბარებს ისვრის. თუმცა ასეთი დრომოჭმული იარაღი მიზანს ვერ აღწევს: ხშირათ ჩვენი ჯარისკაცები ფეხში დასჭრიან ხოლმე ფარის მატარებელ ჯარისკაცებს და მათი ასეთი იარაღით მოქმედება უნაყოფოთ რჩება.

**იაპონია.**

ინგლისის კრეისერმა „ავსტრალია"-მ პატაგონიასთან გერმანიის მაშველი კრეისერი ჩაძირა.

გერმანიის ოფიციალური ცნობებით,

კრეისერ „კარლსრუე“-ს ორი კვირის განმავლობაში 11 სავაჭრო გემი ჩაუძირავს.

—

## გერმანია.

გერმანიის პრესა უკმაყოფილოა ამერიკის საქციელით. ამის შესახებ გაზეთი „დეიტ. ტაგეც“-ი სწერს:

თუ შეერთებული შტატები ინგლისის გემებს ნებას აძლევს ამერიკის ბაირაღით ისარგებლოს, ცხადია, მაშინ ამერიკის ბაირაღი ვერ დაიფარავს ამერიკის გემებს და ამ შემთხვევაში ყველა გამამართლებელი საბუთი გერმანიის თვალში მნიშვნელობას დაკარგავს. ამერიკამ წამ ვლელი უნდა გავაფრთხილოთ, რომ ინგლისის გემებით არ ისარგებლონ.

—

## რომი.

შეერთებულმა შტატებმა წინადადება მისცა იტალიას, მიიღოს მონაწილეობა ნეიტრალურ სახელმწიფოთა საერთო პროტესტში იმ შეზღუდულ პირობების წინააღმდეგ, რომელშიც სახლვთაოსნობა არის დღეს ჩაყენებული გერმანიის მიერ ინგლისში მიმავალ დახშული გზების გამო. იტალიამ უარი შეუთვალა და განაცხადა, რომ იგი საერთო გამოსვლაში მონაწილეობის მიღებას არ საჭიროებს, ვინაიდან მის ინტერესებს ჯერ არავინ შეხებია; იმ შემთხვევაში, თუ მის ინტერესებს შეეხება ვინმე, იტალიის იმდენი ძალა შესწევს, რომ სხვის დაუხმარებლადაც დაიცავს თავის ინტერესებს.

—

ნიცში სახადი მძვინვარებს, ყოველ დღე თორმეტიდან-ხუთმეტამდი კვდება. ადგილობრივი გაზეთები ამის შესახებ არაფერსა სწერენ, რადგანაც არ უნდათ უცხოელები დააფრთხონ.

—

## შეერთებული შტატები.

როგორც ხმებია, ინგლისის მიმართ ნოტა ორთქლმავალ „ლუზიტანიის“ ინციდენტით კი არაა გამოწვეული, რომელმაც ლივერპულთან მიახლოვებისას შეერთებული შტატების ბაირაღი აღმართა, არამედ ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადებით, რომელიც ინგლისის გემების მიერ ნეიტრალური ბაირაღებით სარგებლობას ამართლებს.

ნოტა შეერთებული შტატების ელჩის სახელზეა ბერლინში გაგზავნილი, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრისთვის წარსადგენათ. ნოტა მეგობრულის კილოთია დაწერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკის გემების მიმოსვლა ოკეანეზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს და რომ ამერიკის გემების ჩაძირვა გერმანიასა და შეერთებული შტატების შორის კეთილგანწყობილებას დაარღვევსო.

—

## პარიზი.

გაზეთ „ტემპსის“ ცნობით, გერმანის ბულგარეთის გზით კონსტანტინეპოლში 10 აეროპლანი გაუგზავნია.

—

## მოსკოვი.

„რ. ს.“ ატყობინებენ თეირანიდან, რომ სენეში ოსმალეთის ჯარი მოვიდაო. შესაძლებელია, ჯარი ყირმანშახისკენ გაემართოს

—

## მოსკოვი.

„რ. ს.“-ი მიხაილოვსკი სწერს: პოლონეთის მარცხენა მხარეზე გერმანელები იძულებულნი არიან მოგერებითი ბრძოლა აწარმოვონ, კარპატებზე ავსტრო-გერმანელების იერიშები უნაყოფოთ დარჩა. აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელების გაშმაგებულმა შეტევამ ჩვენი ჯარი აიძულა უკან დაეხია. სტრატეგიულის მოსაზრებით, გინდაც რომ ჩვენმა ჯარმა პრუსია მთლათ დასტოვოს მნიშვნელობა არ ექნება, ვინაიდან საბედისწერო ბრძოლა სხვა ადგილებში მოხდებაო“.

—

ვილჰელმი ჯარის დასათვალიერებლათ ლოძში მისულა. მღვდელმსახურების დროს ეკლესიაში სიტყვა წარმოუთქვამს: გერმანიამ უნდა აიძულოს თავისი მტრები, რომ საპატიო ზავი მოითხოვონ.

—

გერმანიის შტაბი, რომელიც ლენჩიცში იყო, ლოვიჩისა და კუტნოს შუა, სადგურ პნევოზე გადავიდა.

## რომი.

გაზეთები იტყობინებიან, რომ რუმინიისა და ბულგარეთის მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდაო.

## კოპენჰაგენი.

გერმანელები ერმატიერს ყუმბარებს გაცხარებულათ ესვრიან; მოსალოდნელია, საერთო იერიში. მცხოვრებლები საზღვარსა და მიულუზას შუა რაიონს სტოვებენ და მიდიან.

—

აღმოსავლეთ პრუსიის მთავარი პრეზიდენტი თავის მოხსენებაში აცხადებს, რომ პროვინციის მეექვსე ნაწილი თითქმის დაცარიელებულია. 300,000 მცხოვრებელმა თავისი ბინა მიატოვა. 100,000 ცხენი მოკლულია. საქონლისთვის საკვები სურსათი განადგურებულიაო.

## რომი.

„ტრიბუნა“ იტყობინება, რომ ბიულოვმა იტალიას წინადადება მისცა აპრილამდი ნეიტრალიტეტი დაიცვას, რადგანაც იმედი აქვს ვენაში ტრიენტისა და ტრიესტის დათმობით შეთანხმება მოეწყოს.

# სიტყვიდან საქმისაკენ.

## II.

**ჩვენი ხსნა ბატონებო, შრომაშია.**

ჩვენ გვმართებს **შრომა** ყოველნაირი, შრომა დაუღალავი, მიზანშეწონილი. დროა გამოვიყენოთ ყოველივე უპირატესობა ჩვენი სამშობლოისა, დროა ვისარგებლოდ ყოველივე მისი სიმდიდრით ტყესა და ველში, მთასა და ბარში!

მე მაგონდება ერთი ადგილი ილიას „კითხვა-პასუხებისა“, რომელიც არ შემიძლია არ გავახსენო მკითხველსაც.

**კითხვა.**

„ვინ მოგმართოს შენ და წინ არ დახვდეს
შენი სიმდიდრე, შენი უხვება:
მაგრამ რამდენად მდიდარ-უხვი ხარ
იმდენად უფრო გული მიკვდება“.

**პასუხი.**

„მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
ლუკმა ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ,
მე ტკბილი ცხოვრების წყაროსა გაწვდით
და,—ვაი,—თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ.“

მაშ, მივმართოთ ჩვენს საყვარელს, გულუხვ სამშობლოს! მივმართოთ ცოდნით და რწმენით აღჭურვილნი, გამოვიჩინოთ მეტი მხნეობა, მეტი თაოსნობა, მეტი სიმტკიცე. ჩვენ არ უნდა მოვერიდნეთ არავითარ შრომას, ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის არავითარ ექსპლოატაციას.

ჩვენ ცოტანი ვართ, ცოტა თავისუფალი საწარმოვო კაპიტალი გვაქვს, მაგრამ [illegible] დავივიწყებთ, რომ შეერთებული საზოგადოებრივი ძალები, უფრო კი კოოპერატივები სასწაულს ჰქმნიან დასავლეთ ევროპაში, ძალა ერთობაშია.

ჩვენდა სავალალოდ ჩვენ მოკლებული ვართ ისეთ უბრალო გარეგან ფაქტორებსაც კი,

რომელსაც შეეძლოს დაქსაქსული ძალების მჭიდროდ შეკავშირება და განსაზღვრული ხელმძღვანელობა ჩვენი ერის ეკონომიურ-კულტურული კეთილდღეობის შესაქმნელად. ჯერ ჩვენ ამის ნასახიც არაფერი გაგვაჩნია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამოდენიმე კულტურულ დაწესებულებას, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შესძლეს გამხდარიყვნენ ჩვენი აღორძინების დიად ფაქტორებად. მაშასადამე, ჩვენს ეკონომიურ კულტურულ წინმსვლელობაში კერძო ჯგუფობრივ ინიციატივას ფართე ასპარეზი აქვს წინ გადაშლილი.

აი, აგერ შეერთებულმა ცდამ და ძალამ ჩვენი ულამაზესი და უმდიდრესი კუთხე—კახეთი რკინის გზის ლიანდაგით გადაება ბაზარს. შეუძლებელია ეხლა აღნუსხვა ყველა იმ შედეგისა, რომელიც მოჰყვება ამ ჩვენთვის დიდ საქმეს მხოლოდ დღეის ბუმბერაზმა მოვლენამ (ომმა) დაჩრდილა ეს ფრიად საგულისხმო მოვლენა ჩვენი ცხოვრებისა და ამიტომ შესაფერად არ იყო დაფასებული იგი ჩვენს პრესაში.

ვინ იცის როდის მოეწყობოდა კახეთი რკინის გზას, რომ ჩვენ სხვისთვის გვეცადა! თუმცა ამ საქმესთან გვერდით დასაყენებელი არ არის ერთი რამ მცირედი ფაქტი ჩვენი შეერთებული ცდისა ადგილობრივი სიმდიდრის რაციონალურად ექსპლოატაციისა, მაგრამ მაინც ღირსშესანიშნავია თავისი შესაძლებელი შედეგებით.

წარსულ შემოდგომაზე თფილისში აკურთხეს დიდი საწყობი და მაღაზია „ქართლის მეხილეთა საზოგადოებისა“. შეუწყნარებელი იყო, რომ აქამდის ეს ამოდენა პირველხარისხოვანი ხილი ღვთისა და სოფლად მოსიარულე ჩარჩების ანაბარა იყო მიტოვებული. ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოს ფართე და სინიდისიერად დაყენებით შესაძლებელია მეხილეობა ქართლში გახდეს უმთავრეს ფაქტორად მისი ეკონომიური კეთილდღეობისა.

მეაბრეშუმობა დასავლეთ საქართველოში, მევენახეობა კახეთში შესაძლებელია აგრეთვე შეერთებულმა ძალამ გარდაქციოს სულ ახლო მომავალში უმთავრეს წყაროდ მკვიდრთა ახლანდელი ეკონომიური უმწეობისგან თავის დასახსნელად. ვინ ჩამოთვლის, თუ რამდენი ამისთანა შესაძლებლობა გვეშლება თვალწინ ჩვენი გულუხვი ბუნების წიაღში... მაგრამ „ლუკმა ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთო“.

მ. გაგაშელი.

# წერილი ონიდან.

25 იანვარს, დ. ონში მოხდა ონის წვრილი კრედიტის ამხანაგობის წლიური წევრთა საზოგადო კრება. კრების თავჯდომარის არჩევის შემდეგ, აირჩიეს გამგეობის ერთი წევრი, რის შემდეგაც კრება შეუდგა წლიური ანგარიშის განხილვას. ამ ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას ჰყოლია 343 წევრი და საანგარიშო წლის დამლევს 17072 მან. 97 კ. ძირითადი თანხა, მოგება წლის განმავლობაში დარჩენია 481 მან. 46 კ.; ამხანაგობის საბჭოს ჰქონია ათი სხდომა.

მოგებიდან, ამხანაგობის წესდების თანახმად, გადაიდვა 60% ამხანაგობის საკუთარი ძირითადი თანხის და სათადარიგო თანხის შესადგენათ და დანარჩენი 192 მან. 40 კ. წლიურ წმინდა მოგებათ იყო ნაანგარიშევი.

ეს ფული კრებამ ასე განაწილა: 40 მან. წ. კ. ს. ონის განყოფილებას, 30 მან. წითელი ჯვარის სასარგებლოთ; 40 მანეთი გამგეობის წევრს ჩიკვაიძეს მისი შრომის ჯილდოთ, იმდენივე მეორე წევრს გოცირიძეს და დანარჩენი 42 მან. ამხანაგობის საბჭოს თავჯდომარეს დეკანოზ მათე გორდეზიანს და საბჭოსავე წევრებს ერისთავს, მოსიძეს და ბერიშვილს.

ამ განაწილებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია საბჭოს ზოგიერთა წევრის მხრით. აშკარათ სჩანდა, რომ მეპროტესტეს სურდა უფრო ზედმეტი შეხვედროდა და, მართლაც, ისე დაატრიალა საქმე, რომ 42 მანეთის მაგიერ, 64 მანეთი მიიღო. ასეთი საქციელი შეუფერებელი იყო იმის შემდეგ, როცა კრებამ საბჭოს წევრებს მადლობა გამოუცხადა საქმის რიგიანათ წარმოებისთვის. რასაკვირველია, აქ საბჭოს ყველა წევრებზე არა მაქვს ლაპარაკი, მაგრამ უმრავლესი მათი წარმომადგენლის შეუფერებელმა საქციელმა ამხანაგობაზე ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა, მით უფრო, რომ ერთი წევრი, ოღონდ კი თვით ბევრი შეხვედროდა და სხვა რაიმე საქველმოქმედო საქმისათვის ფულის გადადებაზე წინააღმდეგი იყო.

კ. წულუკიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

1914 წ. 1 მარტს გავხსენით სამკითხველო სადგურ ქვალონში.

თუმცა ცოტა გვიან კი არის მაგრამ ულრმეს მადლობას უძღვნით, ვინც ამ კეთილ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ფულით, და ნივთების შემოწირვით.

**სია შემომწირველთა:** ვლადიმერ ქაჩაქაძემ 15 მან., სამსონ ალანიამ 10 მან., კოტა ყალიჩავამ მაგიდა ღირ. 4 მან. ალექსანდრე სიხარულიძემ გაზეთი ერთი წლით, სილოვან სიგუამ სურათი ყაზბეგისა, ანტოშკა ჩიჩუამ გაზ. „თემი“ ერთი წლით. ნიკო ქოჩაკიძემ შოთას სურათი 1 მან. 10 შაურათ ღირებული, ალექსი ჰანტურიამ ლამპა 1 მან. 50 ღირებული, გუგა ლოლუამ „Закавк. рѣчь“ სამკითხველოს გამგეობა.

წევრი მდივანი ივ. ბაქრაძე.

## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| თფილისიდან | 5 ს. 50 წ. დილ. |
| | 11 ს. 30 წ. ღამ. |
| ბათომიდან | 10 ს. 5 წ. დილ. |
| | 2 ს. 23 წ. ღამ. |
| ფოთიდან | 10 ს. 30 წ. დილ. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თფილისში | [illegible] |
| | [illegible] |
| ბათომში | 10 ს. 7 წ. საღამ. |
| | 4 ს. 27 წ. დილ. |
| ფოთში | 4 ს. 14 წ. დღ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„ იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . 20 კაპ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . 35 კაპ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა ს. და ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-XIX ს. ქ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე. ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტ. 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საშუალ. კურსები

**გ. გ. ბიბინეიშვილისა.**

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. **კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.**

**ს წ ა ვ ლ ი ს ფ უ ლ ი ა ს ი მ ა ნ.**

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე **გ. გ. ბიბინეიშვილი.**

ფოთის ახალ მაღაზიაში **„უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ“**

**ქარვასლის ქუჩაზე, პროვოდნიკის პირდაპირ**

მაღაზიაში **ი ყ ი დ ე ბ ა** მაღაზიაში

**უკანასკნელ მოდების, გალანტერეინის, შლიაპებისა და ხელსაწყოების საქონლები:**

სხვა და სხვა კრუჟოვა, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფოლაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუბკები, ქალების, ბავშვებისა და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქონელი.

რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკერილ საქონელზე ფაბრიკის ფასი. **დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი ა 50%**

თ. **პატივისცემით აინბინდერი.**



**ვაუწყებთ პატივცემულ მყიდველებს,**
რომ მე გავეყარე **ნ. ს. ტერკის ფირმას** და გავხსენი სასტუმრო „ლონდონის პირდაპირ.





**ს ა კ უ თ ა რ ი მ ა ღ ა ზ ი ა;**

ჩემი დიდიხნის გამოცდილება და ცოდნა მეძლევას მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო იაფად გავყიდო და სინიდისიერათაც შევასრულო ყოველნაირი სამუშაო, რაშიც პირადათ დარწმუნდება მყიდველი.

მისამ. წერილ. და დეპეშ. **ქუთაისი. აბრამ ტერკი**

**კალიგრაფიის** (ლამაზი და ჩქარი წერის) **კურსები.**

**(ნებადართულია მთავრობისაგან)**

**ვ უ ს წ ო რ ე ბ** წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაილშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის.—სამსახურში შესასვლელათ, ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ-წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა და შრიფტს.—სულ უსწავლელს 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვკისრულობ

**ადრესების, დიპლომების და ხელმწიფის**

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული, ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოის კურსები 4 საათ. 9-მდი.

კალიგრაფიის მასწავლებელი **ივ. მიხ. ცინცაძე.** კაზაკოვის ქუჩა., სახლი 13. ო.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

# „გ ა ნ თ ი ა დ ი“-ზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

**წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ. სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., თითო ნუმერი აბაზათ.**

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწერის დროს—2 მან. 60 კ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება: ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში: წ. კ. გ. საზ. მდივანთან, ბაქოში: ქართულ სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში: კოწია გამყრელიძესთან, ბათომში: ხოსიტაშვილის მდივანთან, სოხუმში: ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში: თ. ის. მერაბ. ღორქოდვანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спирид. Панцхава